განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქ.ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინე ებრალიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ლევან ცაგარელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გიგა ხოსიტაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სალომე ძაგნიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	212907513
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	გამსახურდიას ქ. #43ა, ქ. ქუთაისი, იმერეთი, 4600, საქართველო
ვებ-გვერდი	www.kutmuscollege.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	მიენიჭა უსდ-ს (კოლეჯი) სტატუსი 5 წლით
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	03.01.2014 წ. გადაწყვეტილება N1
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2019 წ.

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	1
ბაკალავრიატი	1
მაგისტრატურა	
ერთსაფეხურიანი	
დოქტორანტურა	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	29		
ბაკალავრიატი	29		
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	19 (აკად. და მოწვ. პერს.)
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	13
- პროფესორი	8
- ასოცირებული პროფესორი	5
- ასისტენტ პროფესორი	
- ასისტენტი	2 (მასწავლებლის პოზიცია)
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	13
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტი	
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	4
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4072.58 მ²
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1498.48 მ²
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2574.1 მ²

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულების შვიდივე სტანდარტთან შესაბამისობა. თავმჯდომარის მიერ მოხდა ექსპერტთა შორის სამუშაო სფეროების გადანაწილება. საერთო შეხვედრის შემდეგ ჯგუფის წევრებმა დამოუკიდებლად დაამუშავეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თავმჯდომარეს და ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი აზრი განხილული სტანდარტების შესაბამისობის შესახებ სტანდარტების რუკების მეშვეობით. თავმჯდომარემ ჯგუფის წევრების შეფასებები და მოსაზრებები შეაჯერა, გადაამოწმა, შეიტანა გარკვეული ცვლილებები და მოათავსა ერთ დოკუმენტში, რომელიც განსახილველად გადაუგზავნა ჯგუფის წევრებს, ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბების მიზნით.

მუშაობის პროცესში ექსპერტებს მრავალი სირთულის გადალახვა მოუწიათ, რადგანაც ქსკ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოუწესრიგებელი, არასრული გახლდათ, საჭირო ინფორმაცია გაფანტული იყო, ხშირ შემთხვევაში დოკუმენტები მოიპოვებოდა მხოლოდ კოლეჯის ვებგვერდზე, ან საერთოდ არსად იყო წარმოდგენილი (მაგალითად, მე-6 სტანდარტი). ექსპერტებმა დიდი ძალისხმევა და პროფესიონალიზმი გამოიჩინეს, სხვადასხვა დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია შეაგროვეს და გააანალიზეს (როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ისე ვებგვერდის მონაცემებიდან), რომ მე-6 სტანდარტი მაინც შეფასებულიყო.

ქსკ-ის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღება საჭიროა იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სხვა უმაღლესი დაწესებულებების დოკუმენტებს იყენებენ საკუთარი მიზნებისთვის. ასე, მაგალითად, როდესაც ვხსნით პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, იგი დასათაურებულია, როგორც „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი“, საშემსრულებლო ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის გახსნის შემთხვევაშიც სათაურის ველში იწერება „ბათუმის

ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“. მონიტორინგის და ნებისმიერი სხვა წარმოების პროცესში მსგავსი შემთხვევები პლაგიატის ეჭვს იწვევს.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 2013 წლის დეკემბერი

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
<u>სტანდარტი 1.1</u> - *სასწავლო კურსების ნაწილი, რომელიც გრძელდება რამოდენიმე სემესტრის განმავლობაში (მაგ. ქართული მუსიკის ისტორია) წარმოდგენილია ერთი სილაბუსით. სადაც თემატიკა და კრედიტები ჩაშლილია სემესტრების მიხედვით, მაგრამ მიზნები დ შედეგები, ასევე დაშვების წინაპირობები ერთია ყველა სემესტრის სასწავლო კურსისთვის.* *სპეციალობის საგნები, რომლებიც გრძელდება ყველა სემესტრში (მაგ. - ფორტეპიანო, რომელიც გრძელდება 8 სემესტრის განმავლობაში - ფორტეპიანო 1-2-3-4-5-6-7-8), ასევე წარმოდგენილია ერთიანი სილაბუსით, სადაც არ არის გაწერილი თემატიკა.*	**<u>სტანდარტი 3.2</u>** - <u>ყველა კურსის სილაბუსი გაწერილია ცალკე, თემატიკა, კრედიტები, დაშვების წინაპირობები, კურსების მიზნები და შედეგები ჩაშლილია სემესტრების მიხედვით.</u>
<u>სტანდარტი 2.1</u> - *უნდა აღინიშნოს, რომ შენობა-ნაგებობა კაპიტალურია, თუმცა საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.*	**<u>სტანდარტი 7.1</u>** - <u>დოკუმენტების საფუძველზე განხორციელებული მონიტორინგის პირობებში აღნიშნული შენიშვნის (შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ჩატარება) შესრულების დადგენა-დამტკიცება შეუძლებელია.</u>
<u>სტანდარტი 2.2</u> - *აღსანიშნავია, რომ დაწესებულების 25.05.2009 წლის მოქმედი წესდება (23.08.2010 წლის რედაქციით) საჭიროებს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. წარმოდგენილ იქნა ახალი წესდების პროექტი რომელიც გაგზავნილია კულტურის სამინისტროში, შესაბამისი მიმოწერა ინახება დაწესებულებაში და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.*	**<u>სტანდარტი 4.1</u>** - <u>ქსკ-მა წარმოადგინა 2014 წლის განახლებული წესდება</u>
<u>სტანდარტი 2.12</u> - *საგანმანათლებლო დაწესებულ* *არის კოლეჯი, რომელიც არ ახორციელებს კვლევებს*	**<u>სტანდარტი 6 (მთლიანად)</u>** - <u>საბუთების მონიტორინგისთვის ეს სტანდარტი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი. ავტორიზაციის მოქმედი</u>

	სტანდარტის თანახმად ფასდება არა მხოლოდ კვლევა, არამედ შემოქმედებითი საქმიანობაც. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს მოუწია ქსკ-ის შემოქმედებითი საქმიანობის კომპონენტის შეფასება სხვადასხვა წარმოდგენილ დოკუმენტებში და ვებგვერდზე მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი საბუთების მონიტორინგის შედეგად მიღებულია სტანდარტების შესაბამისობის შემდეგი რეზულტატები:

უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება:	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა:	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამები:	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
უსდ-ის პერსონალი:	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები:	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა:	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები:	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია დაიწეროს შესაბამისი დოკუმენტი საზოგადოებრივი კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- რეკომენდებულია ავტორიზაციისთვის შემუშავდეს 7-წლიანი სტრატეგიული გეგმისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა და შეიქმნას შესაბამისი დოკუმენტი;
- რეკომენდებულია განისაზღვროს კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი და/ან პროცედურა;
- რეკომენდებულია მოხდეს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა;
- რეკომენდებულია ინტენსიფიკაციის მიმართულებით ფუნქციების დელეგირება მოხდეს კონკრეტულ ადამიანზე ან სტრუქტურულ ერთეულზე, რათა არსებული გეგმის შესრულება მოხდეს ეფექტიანად;
- რეკომენდებულია შემუშავდეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი, საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები და აისახოს კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტში;
- რეკომენდებულია კოლეჯის მიერ მიწოდებული სერვისების შეფასების მეთოდის დახვეწა, ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ გააძლიეროს მუშაობა იმ ღონისძიებებზე, რომელიც ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობაზე და წახალისებაზეა მიმართული;
- რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს აკადემიური სერვისები, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის, რომელიც მიმართული იქნება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისკენ;
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების განახლება-გადახალისება თანამედროვე მოთხოვნების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია შეფასების სისტემის განახლება თანამედროვე სტანდარტების თანახმად;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ იზრუნოს თავისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალი / ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სტრატეგია;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტებისა და პროფესორების კმაყოფილების კვლევას, მათ ჩასატარებლად დაიქირავოს პროფესიონალ/ებ/ი, შემდეგ კი გამოიყენოს კვლევის შედეგები მართვისა და სწავლების დონის გასაუმჯობესებლად;
- კოლეჯმა უნდა შეიმუშავოს პერსონალთან და მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესორთან დატვირთვის გეგმები იმგვარად, რომ მათში შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და პედაგოგიურსა და შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობასთან ერთად აღნუსხვას ექვემდებარებოდეს პერსონალის წევრთა ადმინისტრაციული, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული და სხვა სახის აქტივობები;
- რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტთა საჩივრების (აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ) მიღება-განხილვის პროცედურები;
- რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ჩატარების და შედეგებზე რეაგირების მექანიზმი;
- რეკომენდებულია, რომ კოლეჯმა დანერგოს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები;
- რეკომენდებულია, რომ კოლეჯმა სტუდენტები უზრუნველყოს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებით;
- რეკომენდებულია, კოლეჯმა გაასაჯაროვოს ინფორმაცია სტიპენდიებისა და სხვა ფინანსური დახმარებების შესაძლებლობის შესახებ;
- რეკომენდებულია ქსკ-მა იზრუნოს სწავლების, საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობისა და ეკონომიკის ინტეგრაციაზე, და ამ მიზნით ითანამშრომლოს ეკონომიკურ აგენტებთან და ხელი შეუწყოს ინოვაციურ განვითარებას;
- რეკომენდებულია მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული პროფესორის ფუნქციები სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში და ასევე შემაჯამებელი კონცერტისთვის მზადების პროცესში; ასევე განისაზღვროს, რამდენი სტუდენტის ხელმძღვანელობა შეუძლია თითო პროფესორს;
- რეკომენდებულია ქსკ-მა იზრუნოს იმაზე, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვით უზრუნველყოფილი იყოს სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების ეფექტიანი და ხარისხიანი ხელმძღვანელობა და ინდივიდუალურად ან გუნდურად განხორციელებული პროექტების მაღალი ხარისხი (ე.ი. სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობა უნდა აისახოს აკადემიური პერსონალის დატვირთვაში);
- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს საანგარიშო კონცერტების შეფასების წესი და განახორციელოს საანგარიშო კონცერტების წარმატებით ჩატარების მაჩვენებელთა ანალიზი;
- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი და საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები, რაც უნდა აისახოს მის ბიუჯეტსა და სტრატეგიულ გეგმაში;
- რეკომენდებულია ქსკ-მა წაახალისოს და ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის მიერ სხვადასხვა წყაროდან შემოქმედებით / საშემსრულებლო საქმიანობისთვის და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად დაფინანსების მოპოვებას და ამ მიზნით გაუწიოს მას კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებასთან, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით;
- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მხარდაჭერის სისტემა და მხარი დაუჭიროს სტუდენტთა სახელოვნებო-შემოქმედებით ინიციატივებს;
- ქსკ-მა უნდა იზრუნოს ინსტიტუციური თანამშრომლობის დამყარებაზე უცხოელ პარტნიორებსა და საერთაშორისო შემოქმედებით ცენტრებთან, ერთობლივი სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაზე, ასევე უცხოელი პროფესორების მონაწილეობაზე კოლეჯის სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობაში;
- რეკომენდებულია ქსკ-მა განახორციელოს თავისი აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი;
- რეკომენდებულია რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები განხორციელებული შემოქმედებითი პროექტების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას კოლეჯის შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;
- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშაოს და განახორციელოს სამოქმედო გეგმა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შენობაში თავისუფლად გადაადგილებისთვის;
- რეკომენდებულია ელექტრონული კატალოგის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა (შესაძლებელია უფასო ვერსიების გამოყენება);

- რეკომენდებულია სამენციერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა (მათ შორის ღია წვდომის ბაზები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე);
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათების გაზრდა და სტანდართან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია საბიბლიოთეკო ფონდებისა და სერვისების განახლების მიექანიზმების ჩამოყალიბება/გაწერა;
- რეკომენდებულია საბიბლიოთეკო ფონდის განახლება დარგში არსებული აქტუალური რესურსებით (ყოველწლიური გეგმის არსებობა);
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა/ ხელშეწყობა;
- რეკომენდებულია კოლეჯის ინფორმაციული პოლიტიკის წესში მოხდეს შესაძლო რისკების მართვის გათვალისწინება;
- რეკომენდებულია დაინერგოს/ამოქმედდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობას;
- რეკომენდებულია კოლეჯის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მოხდეს იმ აქტივობების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებას, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება/გამდიდრებას;
- რეკომენდებულია განსაზღვრული პერიოდულობის ფარგლებში ფინანსური აუდიტის ჩატარება.

რჩევები

- სასურველია მომავალში დოკუმენტებს 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების და 3-წლიანი სამოქმედო გეგმების შესახებ მიეცეს განსაზღვრული ფორმა და მათში შეტანილ იქნას ახალი ავტორიზაციის შესაბამისი ვადები (როდესაც ეს ვადები დადგინდება) და, აქედან გამომდინარე, სათანადო აქტივობები;
- მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს გააჩნია მხოლოდ <u>საშემსრულებლო</u> საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც შეუძლებელია პლაგიატის იდენტიფიცირება, საჭიროა შემუშავებულ იქნას პლაგიატის დეტექციის რაიმე ტექნიკური საშუალება, მექანიზმები ან/და შესაბამისი ელექტრონული პროგრამა;
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ახალი კადრების მოზიდვა;
- ასევე, სასურველია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების და სილაბუსების შექმნის თაობაზე ტრენინგებისა და კონსულატიების მოთხოვნა და გავლა;
- საშემსრულებლო ფაკულტეტის ნებისმიერ სპეციალობაზე არსებობს სწავლების სხვადასხვა ასპექტები (ტექნიკური და შემოქმედებითი), რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მინიმუმ 2 შუალედური შეფასების განსაზღვრა. მაგალითად, საკრავებში - გამები, ფურცლიდან კითხვა, ტრანსპონირება (1 შუალედური) და ეტიუდები (2 შუალედური) და ა.შ. ვოკალისთვის - ვოკალიზები, სავარჯიშოები, ფურცლიდან კითხვა (1 შუალედური), პოეტური ტექსტის, მუსიკალური ტექსტის ანალიზი, მელოდიური ნახატის, ნიუანსირების, ნახტომების, რიტმული და სხვა სირთულეების დადგენა (2 შუალედური) და ა.შ. დასკვნითი შეფასება კი დაეთმობა შემოქმედებით მხარეებს (რაც მეტ-ნაკლებად გაწერილია პროგრამასა და სილაბუსებში);
- განხორციელდეს პერსონალის ოპტიმიზაცია იმგვარად, რომ ე.წ. „ნახევარ განაკვეთზე“ არავინ არ აღმოჩნდეს და სრული დატვირთვა ყოველკვირეულ 40 საათს უტოლდებოდეს (ამაში იგულისხმება სწავლებაზე, საშემსრულებლო/შემოქმედებით საქმიანობაზე, სახელმძღვანელოების მომზადებაზე, ადმინისტრირებაზე, კონსულტაციებზე და სხვა საქმიანობაზე დახარჯული დრო);
- სასურველია, ქსკ-ში არსებობდეს ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ხელს შეუწყობს გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებას და დაეხმარება აკადემიურ პერსონალს ანგარიშების წარდგენის პროცესში;
- რეკომენდებულია სანიტარულ კვანძებში მუდმივად უზრუნველყოფილ იქნას სისუფთავის ნორმების დაცვა;
- სასურველია დაიგეგმოს და ეტაპობრივად განხორციელდეს მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლება/შესყიდვა;
- სასურველია კოლეჯმა იზრუნოს შემოსავლების ალტერნატიული საშუალებების მოძიებაზე, მათ შორის საერთაშორისო საგრანტო პროექტები.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☒
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ირინე ებრალიძე (თავმჯდომარე)
2. ლევან ცაგარელი (წევრი)
3. გიგა ხოსიტაშვილი (წევრი)
4. სალომე ძაგნიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მისია კარგადაა წარმოდგენილი და შეიცავს ყველა სტანდარტულ მოთხოვნას. ასახულია მისი როლი ადგილობრივ დონეზე, განსაზღვრულია მისი საქმიანობის ძირითადი სფეროები და მიმართულებები, ნაჩვენებია მისი მიზნები, საზოგადოების ნიჭიერი ახალგაზრდა კადრების მოზიდვა-მომზადების გზები; ასევე, განსაზღვრულია კოლეჯის ადგილი რეგიონში კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ დოკუმენტი „კოლეჯის მისია“ ▪ კოლეჯის ვებ-გვერდი (http://kutmuscollege.edu.ge/misia.html)
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან * აღნიშნული შეფასება გაკეთდა მხოლოდ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯმა წარადგინა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებული საკმაოდ ბევრი დოკუმენტი, რამაც საგრძნობლად გაართულა ექსპერტების მუშაობა (იხ. მტკიცებულებები/ინდიკატორები). არც ერთ მათგანს არ გააჩნია სათანადოდ განსაზღვრული ფორმა, მითითებული ვადები და დოკუმენტების მონაცემები მოძველებული და გაფანტულია (იხ. მტკიცებულებები/ინდიკატორები). არ არის მკაფიოდ ასახული სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და მის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები. გარდა ამისა, საშემსრულებლო ფაკულტეტის განვითარების

სტრატეგიული გეგმის გახსნის შემთხვევაში სათაურის ველში წერია „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“, რაც კითხვებსა და პლაგიატის ეჭვს ჰბადებს. ასევე, მონიტორინგის პირობებში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან რთულია იმის განსაზღვრა და შემოწმება, თუ რა წვლილი შეაქვს კოლეჯს საზოგადოების განვითარებაში, თუ როგორ უზიარებს დაგროვილ ცოდნას, როგორ უწყობს ხელს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების განხორციელებას და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული გეგმა 2017-2020 • სტრატეგია 3 წელი • 2018 სამოქმედო გეგმა • 2018 წლის სამოქმედო გეგმა-გრაფიკი • საშემსრულებლო ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2017-2020) • სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია • ანგარიში 1 კვარტალი 2018 • ანგარიში 2 კვარტალი 2018 • ანგარიში 3 კვარტალი 2018
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია დაიწეროს შესაბამისი დოკუმენტი საზოგადოებრივი კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ; • რეკომენდებულია ავტორიზაციისთვის შემუშავდეს 7-წლიანი სტრატეგიული გეგმისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა და შეიქმნას შესაბამისი დოკუმენტი
რჩევები: • სასურველია მომავალში დოკუმენტებს 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების და 3-წლიანი სამოქმედო გეგმების შესახებ მიეცეს განსაზღვრული ფორმა და მათში შეტანილ იქნას ახალი ავტორიზაციის შესაბამისი ვადები (როდესაც ეს ვადები დადგინდება) და, აქედან გამომდინარე, სათანადო აქტივობები
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, კოლეჯის მისიის, ამოცანებისა და მიზნების წარმატებით განხორციელებაში აქტიურად ჩართულია კოლეჯის ყველა რგოლი: აკადემიური პერსონალი,

ადმინისტრაციის სამსახური, სასწავლო დამხმარე პერსონალი, ბიბლიოთეკა. კოლეჯის მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და დიდი გამოცდილების მქონე პერსონალით. კოლეჯში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით კონკურსს აცხადებს აკადემიური საბჭო. კონკურსი ცხადდება საჯაროდ, განაცხადის მიღებამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე.

კოლეჯის უფლებამოსილების დელეგირების დოკუმენტის თანახმად, სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და პასუხსიმგებლობები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მონიტორინგის პირობებში ვერ დგინდება, თუ რამდენად შეუძლია ქსკ-ის ამჟამინდელ ორგანიზაციულ სტრუქტურას სტრატეგიული გეგმაში გაწერილი საქმიანობის განხორციელება.

კოლეჯს არ წარმოუდგენია დოკუმენტები სადაც შეიძლება დადგინდეს რამდენად სამართლიანი და კანონთან შესაბამისობაშია, უშუალოდ კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი და/ან პროცედურა. კოლეჯში არ არის დანერგილი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, კოლეჯში არ არსებობს ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა, რისი არსებობაც საჭიროა ყველა შესაძლო რისკის თავიდან აცილების მიზნით.

კოლეჯს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, თუმცა მონიტორინგის ეტაპამდე არ აქვს არცერთი გაცვლითი პროგრამა და/ან რაიმე სახის აქტივობა განხორციელებული. ინტენაციონალიზაციის პროცესზე პასუხისმგებელია კომისია, რომელიც შეიქმნა მხოლოდ ამ მიზნით.

კოლეჯს არ გააჩნია სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული, ისეთი, როგორიცაა საგარეო ურთიერთობების ან განვითარების სამსახური, რომელიც დაეხმარებოდა აკადემიურ პერსონალს, სხვადასხვა წყაროდან შემოქმედებით/საშემსრულებლო პროექტების განსახორციელებლად და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად დაფინანსების მოპოვებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი
- კოლეჯში უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და ანგარიშვალდებულების წესი
- 2017-2018 წელს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესი
- საქმისწარმოების ინსტრუქცია

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია განისაზღვროს კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი და/ან პროცედურა
- რეკომენდებულია მოხდეს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა
- რეკომენდებულია ინტენაციონალიზაციის მიმართულებით ფუნქციების დელეგირება მოხდეს კონკრეტულ ადამიანზე ან სტრუქტურულ ერთეულზე, რათა არსებული გეგმის შესრულება მოხდეს ეფექტიანად;
- რეკომენდებულია შემუშავდეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი, საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები და აისახოს კოლეჯის სტრატეგიულ გეგმასა და ბიუჯეტში.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე- შეამოწმე - განავითარე" ციკლს. პირველ ეტაპზე იგეგმება განსახორციელებელი სამუშაო, განისაზღვრება საქმიანობის ასპექტები. მეორე ეტაპზე ხორციელდება დაგეგმილი სამუშაო წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით, მესამე ეტაპზე ერთვება შეფასების მექანიზმები, ხოლო საბოლოო ეტაპზე ჯამდება შედეგები და განისაზღვრება ნაკლოვანებები. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში არის ჩართული ყველა რგოლი და მისი ეფექტიანად განხორციელებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. შიდა ხარისხის მექანიზმები უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის უწყვეტ რეჟიმში შეფასებას. არსებული წესის მიხედვით, კოლეჯის საქმიანობის დაგეგმვისას ხდება ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული შეფასებების გათვალისწინება, თუმცა დოკუმენტების მონიტორინგის პირობებში ვერ დგინდება რამდენად ეფექტიანად მუშაობს აღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში რადგან კოლეჯს შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. კოლეჯს შემუშავებული აქვს, როგორც სასწავლო პროცესის (მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების) ასევე პერსონალის შეფასების სიტემა. ის ასევე უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კვლევას თუმცა კოლეჯს არ წარმოუდგენია რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულს განამტკიცებდა. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, კოლეჯს გააჩნია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც დაფუძნებულია კოლეჯის რესურსებზე, სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებზე. თუმცა, რთულია იმის დადგენა, როგორ მოახერხებს კოლეჯი იგივე რაოდენობის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალით წარმართოს სასწავლო პროცესი სტუდენტთა მაქსიმალური ქვოტის ათვისების შემთხვევაში. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, კოლეჯი პერიოდულად ახდენს მის მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასებას. თუმცა, დაუდგენელია რა მეთოდით ხდება გამოკითხვა და რამდენად დაცულია მონაწილეთა კონფიდენციალობა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კვლევის შედეგზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● ბაკალავრიატის დებულება ● ფაკულტეტის დებულება ● ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ● კვალიფიკაციის მინიჭების წესი ● სწავლების ხარისხსი განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმი ● კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება ● კოლეჯის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია კოლეჯის მიერ მიწოდებული სერვისების შეფასების მეთოდის დახვეწა, ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით; • რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი.
რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი, სადაც გაწერილია ქცევის წესები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური და დამხმარე პერსონალისთვის და განსაზღვრული აქვს წესების დარღვევაზე რეაგირების მექანიზმები. კოლეჯში არსებობს წესი პლაგიატის შესახებ, სადაც მოცემულია პლაგიატის ფორმების და სახეების დეფინიცია, ასევე ინფორმაცია იმ სანქციების შესახებ, რომელიც მისი აღმოჩენის შემთხვევაში შეიძლება გატარდეს.

კოლეჯის ადმინისტრაციამ უნდა გააძლიეროს მუშაობა იმ ღონისძიებებზე, რომელიც ეთიკური ნორმების დაცვის ხელშეწყობაზე და წახალისებაზეა მიმართული.

გარდა ამისა საყურადღებოა, რომ როდესაც ვხსნით პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, მის დასათაურებაში ვკითხულობთ „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი“, რაც პლაგიატის ეჭვი იწვევს.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კოლეჯს დეკლარირებული აქვს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა, მაგრამ მონიტორინგის პირობებში ვერ დგინდება რამდენად იცნობს კოლეჯის აკადემიური პერსონალი აღნიშნულს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კოლეჯის ეთიკის კოდექსი
- წესი პლაგიატის შესახებ
- ბაკალავრიატის დებულება
- ფაკულტეტის დებულება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ გააძლიეროს მუშაობა იმ ღონისძიებებზე, რომელიც ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობაზე და წახალისებაზეა მიმართული.
- რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშაოს აკადემიური სერვისები, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის, რომელიც მიმართული იქნება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისკენ.

რჩევები:

- მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს გააჩნია მხოლოდ <u>საშემსრულებლო</u> საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც შეუძლებელია პლაგიატის იდენტიფიცირება, საჭიროა შემუშავებულ იქნას პლაგიატის დეტექციის რაიმე ტექნიკური საშუალება, მექანიზმები ან/და შესაბამისი ელექტრონული პროგრამა

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯმა წარადგინა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებულია მეტწილად რეგიონის მოთხოვნილებებზე და იყენებს საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას.

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურები; აგრეთვე პროგრამის შეცვლის შემთხვევაში ითვალისწინებს სტუდენტის კანონიერ ინტერესებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2000-2018 წწ კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგები (დოკუმენტი „2000 ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები“)
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი (დოკუმენტში „გამოკითხვის შედეგები“);
- პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები (დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“);
- ბაკალავრიატის დებულება;
- ფაკულტეტის დებულება

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი ხელმძღვანელობდა მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის პრინციპებით.

პროგრამის სწავლის შედეგები შედარებით ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება მაპროფილებელი უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამის სტრუქტურა დასახვეწია თანამედროვე სტანდარტებზე დაყრდნობით, მასში მკაფიოდ უნდა ჩანდეს სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსების რაოდენობა, მათთვის განკუთვნილი საათები და კრედიტები, ასევე მათი სემესტრული გადანაწილება. პროგრამის შინაარსიც გადახალისებას და თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებზე ორიენტირებას ითხოვს, გადასახედია ასევე სწავლა-სწავლების მეთოდები, დასამატებელია თანამედროვე მეთოდები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მიმართულებების მოდულები სერიოზულ დამუშავებას ითხოვს, რადგანაც „საბჭოური“ საგანმანათლებლო სტილის ასოციაციას იწვევს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია შეესაბამება მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- აკადემიური კალენდარი;
- 2000-2018 წწ კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგები (დოკუმენტი „2000 ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები“)
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა და შედეგების ანალიზი (დოკუმენტში „გამოკითხვის შედეგები“);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ვებგვერდი (http://kutmuscollege.edu.ge/uploads/pdf/axali/katalogi.pdf)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების განახლება-გადახალისება თანამედროვე მოთხოვნების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით

რჩევები:

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ახალი კადრების მოზიდვა;
- ასევე, სასურველია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების და სილაბუსების შექმნის თაობაზე ტრენინგებისა და კონსულტაციების მოთხოვნა და გავლა.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოძველებულია და განახლებას საჭიროებს. იგი მოიცავს 1 შუალედურ (60%) და 1 საგამოცდო შეფასებას (40%), რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების ადეკვატურ შეფასებას. საჭიროა 2-3 შუალედური

შეფასება მაინც და დასკვნითი შეფასება (გამოცდა), რომლების პროცენტულ შემადგენლობას ადგენს თავად კურსის ლექტორი სპეციალობისა და კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე, მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ქულების მინიმალური ზღვარი (შუალედურებსა და საბოლოო შეფასებისთვის).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ შეფასების კრიტერიუმები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სილაბუსები; ▪ ბაკალავრიატის დებულება
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია შეფასების სისტემის განახლება თანამედროვე სტანდარტების თანახმად.
რჩევები: ● საშემსრულებლო ფაკულტეტის ნებისმიერ სპეციალობაზე არსებობს სწავლების სხვადასხვა ასპექტები (ტექნიკური და შემოქმედებითი), რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მინიმუმ 2 შუალედური შეფასების განსაზღვრა. მაგალითად, საკრავებში - გამები, ფურცლიდან კითხვა, ტრანსპონირება (1 შუალედური) და ეტიუდები (2 შუალედური) და ა.შ. ვოკალისთვის - ვოკალიზები, სავარჯიშოები, ფურცლიდან კითხვა (1 შუალედური), პოეტური ტექსტის, მუსიკალური ტექსტის ანალიზი, მელოდიური ნახატის, ნიუანსირების, ნახტომების, რიტმული და სხვა სირთულეების დადგენა (2 შუალედური) და ა.შ. დასკვნითი შეფასება კი დაეთმობა შემოქმედებით მხარეებს (რაც მეტ-ნაკლებად გაწერილია პროგრამასა და სილაბუსებში).
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ზოგადი პრინციპები და წესები, რომლებიც აღწერილია შრომის შინაგანაწესში, პერსონალის შერჩევის წესსა და პროფესორის ატესტაციის წესში. ქსკ-ის პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს აფილირების წესსაც. პერსონალის სამსახურში მიღება (არჩევა) ხორციელდება ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესის საფუძველზე, რომელიც გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპებზეა დამყარებული. თუმცა სანიმუშოდ წარმოდგენილი ბრძანება კონკურსის გამოცხადების

შესახებ ძალზე ზოგადი აღმოჩნდა. მასში არ იყო აღწერილი მოთხოვნები (კონკურსანტის სასურველი კვალიფიკაცია და სხვა), ასევე არ იყო ჩამოთვლილი კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია. გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა უცნობია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე რთული სათქმელია, რამდენად მონაწილეობს აკადემიური პერსონალი საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სხვა საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა კოლეჯის ვებ-გვერდზე მოცემულია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების შემადგენლობები, რომლებშიც გაწევრიანებულები არიან პროფესორები, რაც გვავარაუდებინებს, რომ ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტაში.

პერსონალის წახალისების პრინციპები და ფორმები გაწერილია შრომის შინაგანაწესში, რომლის მიხედვითაც, წახალისება ხორციელდება პერსონალის საქმიანობის შეფასების, რეიტინგული მონაცემებისა და საშემსრულებლო-შემოქმედებითი აქტივობის გათვალისწინებით. თუმცა წახალისების (და აკადემიური პერსონალის რეიტინგული მონაცემების) კონკრეტული მაგალითები წარმოდგენილი არ ყოფილა.

რაიმე პროცედურა, რომლითაც გამარტივდებოდა ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან, უცნობია. ასევე, რთულია მსჯელობა იმის შესახებ, რამდენად უწყობს ხელს ქსკ თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებას, თუმცა ეს მითითებულია დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში (ამოცანა 1.5.).

ამჟამად, კოლეჯში დასაქმებულია 13 პროფესორი, 2 მასწავლებელი და 4 მოწვეული სპეციალისტი. წარმოდგენილია ინფორმაცია 14 პროფესორ-მასწავლებლის შესახებ. მათგან 8-ის (60%) ასაკი აღემატება 65 წელს, სამი მათგანი არის 55-65 წლის, და მხოლოდ სამი განეკუთვნება 45-დან 55 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს. აკადემიურ პერსონალში არავინაა 45 წლამდე ასაკის. სტატისტიკური მაჩვენებლების აკადემიური პერსონალის შესახებ ასახავს მხოლოდ ასაკობრივსა და სქესობრივ მონაცემებს. სხვა თანაფარდობები (აკადემიური პერსონალი/ადმინისტრაციული პერსონალი; აკადემიური პერსონალი / სტუდენტების რაოდენობა; ადმინისტრაციული პერსონალი / სტუდენტების რაოდენობა) უცნობია. ასევე, უცნობია პერსონალის შენარჩნულების მაჩვენებლები.

წარმოდგენილია მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა თვითშეფასების (და არა კმაყოფილების) კვლევის შედეგები და პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ. კვლევის შედეგების ვალიდურობა ძალზე საეჭვოა, რადგან არაფერია ცნობილი არც მისი მიზნების, არც ჩატარების თარიღის, არც სამიზნე ჯგუფის, არც გამოყენებული მეთოდოლოგიის (ვის მიერ, რა ვითარებაში, რისი გამოყენებით - ონლაინ-გამოკითხვა, კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა გამოკითხვა) ან ცდომილების ხვედრითი წილის შესახებ. ამასთან, თავად კითხვები ძალზე ზოგადია, ხშირად არაადეკვატურადაა ფორმულირებული და, ამრიგად არ შეესაბამება სოციოლოოგიური კვლევის მინიმალურ სტანდარტებს (რთული წარმოსასგენია, მაგალითად, რომელიმე პროფესორმა აღიაროს, რომ ლექციებზე გვიან ცხადდებოდა). პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ შეიცავს არაერთ საყურადღებო მინიშნებას აკადემიური პერსონალის პროფესიულსა და პედაგოგიურ ნაკლოვანებებზე (მაგალითად, კითხვაზე „ეხმარება თუ არა ერთმანეთს ლექცია და პრაქტიკული მუშაობა“ გამოკითხულთა მხოლოდ 33,4%-მა გასცა პასუხი „ყოველთვის“). თუმცა კვლევის შედეგების გამოყენება მართვასა და განვითარებაში არ დასტურდება (არც სტრატეგიული გეგმით, არც აკადემიური საბჭოს რაიმე გადაწყვეტილებით და არც რექტორის ბრძანებით). პერსონალთან და მის მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები ასევე უცნობია.

ქსკ-ს განსაზღვრული აქვს აკადემიური პერსონალის პოზიციის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელი) შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ქსკ-ის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის გახსნისას, მისი დასათაურების ველში იწერება „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი“, რაც პლაგიატის ეჭვი გამოიწვია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შრომის შინაგანაწესი (რატომღაც გახსნის შემდეგ აწერია „გრიგოლ რობაქიძის სახელოვის უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი“!), ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი, პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი, რომლებშიც ასახულია პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლებიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებ-გვერდზე: http://kutmuscollege.edu.ge/konkursebi.html
- ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ
- აფილირების წესი, აფილირების ხელშეკრულებისა და თანხმობის ფორმები.

- კოლეჯის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესორ-მასწავლებლების შესახებ: http://kutmuscollege.edu.ge/maswavleblebi.html
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც გაწერილია ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესში.
- პროფესორ-მასწავლებელთა ტაბელარული ბიოგრაფიები (CV). პერსონალის პირადი საქმეები არ ყოფილა წარმოდგენილი.
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმი;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ იზრუნოს თავისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალი / ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სტრატეგია;
- რეკომენდებულია კოლეჯის ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტებისა და პროფესორების კმაყოფილების კვლევას, მათ ჩასატარებლად დაიქირავოს პროფესიონალ/ებ/ი, შემდეგ კი გამოიყენოს კვლევის შედეგები მართვისა და სწავლების დონის გასაუმჯობესებლად;
- კოლეჯმა უნდა შეიმუშავოს პერსონალთან და მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისი სამუსიკო კოლეჯს გააჩნია აკადემიური პერსონალის წლიურად (!) განახლებადი დატვირთვის გეგმა, რომელიც მოიცავს სასწავლო და შემოქმედებით/საშემსრულებლო დატვირთვას, თუმცა ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი მკვეთრად ჩამოუვარდება პირველს. წარმოდგენილ ნიმუშებში წლიური დატვირთვა არ აღემატება 600-800 საათს, რაც იმას ნიშნავს, რომ აკადემიური (მათ შორის, აფილირებული) პერსონალი ყოველკვირეული დატვირთვა 20-25 საათით შემოიფარგლება. ამასთან, ძალზე ბუნდოვანია განაკვეთის ცნების გამოყენება წლიური დატვირთვის გეგმებში; გაურკვეველია, რატომ უნდა იყოს პროფესორი „ნახევარ განაკვეთზე“. აკადემიური პერსონალის რაოდენობა (14-15) და დატვირთვა სავარაუდოდ საკმარისი უნდა იყოს კოლეჯში მოქმედი (ერთადერთი) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში გამოიყენება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები, სახელდობრ: აკადემიური, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრულ რაოდენობასთან არ უნდა აღემატებოდეს 1/20-ს, ხოლო მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს ½-ს. იმავე დოკუმენტის მიხედვით,

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა არ აღემატება 5%-ს და ამრიგად, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის მდგრადობას. აფილირების წესში არის დაზუსტებული, რომ ქსკ-ის აკადემიური თანამდებობის პირი თავის აფილირებას მხოლოდ ქსკ-თან უნდა განსაზღვრავდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პროფესორ-მასწავლებელთა წლიური დატვირთვის გეგმა (ნიმუშები) • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი სამიზნე ნიშნულები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესორთან დატვირთვის გეგმები იმგვარად, რომ მათში შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და პედაგოგიურსა და შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობასთან ერთად აღნუსხვას ექვემდებარებოდეს პერსონალის წევრთა ადმინისტრაციული, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული და სხვა სახის აქტივობები.
რჩევები: • განხორციელდეს პერსონალის ოპტიმიზაცია იმგვარად, რომ ე.წ. „ნახევარ განაკვეთზე“ არავინ არ აღმოჩნდეს და სრული დატვირთვა ყოველკვირეულ 40 საათს უტოლდებოდეს (ამაში იგულისხმება სწავლებაზე, საშემსრულებლო/შემოქმედებით საქმიანობაზე, სახელმძღვანელოების მომზადებაზე, ადმინისტრირებაზე, კონსულტაციებზე და სხვა საქმიანობაზე დახარჯული დრო).
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს გააჩნია კვალიფიკაციის მინიჭებისა და საგანმანათლებლო დოკუმენტაციის გაცემის, სტუდენტთა მობილობის, კრედიტების აღიარებისა და განაწილების, კოლეჯში მიღების წესები, რომლებიც საჯაროა დაინტერესებული მხარეებისთვის ვებ გვერდზე (http://kutmuscollege.edu.ge/iuridiuli-dokumentebi.html). ქუთაისის სამუსიკო კოლეჯმა წარმოადგინა საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში. ხელშეკრულება განმარტავს სტუდენტთა და კოლეჯის უფლება-ვალდებულებებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლებს.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან შეუძლებელია დადგინდეს არსებობს თუ არა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჩივრების (აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ) მიღება-განხილვას, გარდა სამუსიკო კოლეჯის „ბაკალავრიატის დებულების“ 4.5 პუნქტისა, რომელიც განმარტავს, რომ სტუდენტს აქვს უფლება მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგები.

ქსკ ჰყავს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის წევრების არჩევაც ხდება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. სტუდენტური თვითმმართველობა თავის მხრივ ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში, თუმცა ინტერვიუს გარეშე ძნელია დადგინდეს რამდენად რეალურად იყენებენ სტუდენტები თავიანთ უფლებას, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში.

ვებ გვერდზე წარმოდგენილია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, თუმცა კვლევას არ ახლავს ანალიზი და გაურკვეველია განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება ამ გამოკითხვებზე რეაგირების მიზნით. ამასთან, გაურკვეველია როდის ჩატარდა, რა სიხშირით და რა მეთოდოლოგიით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები. შესაბამისად, რთულია, ვივარაუდოთ რამდენად ეფექტურად მუშაობს სტუდენტთა ინტერესების დაცვის მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ბაკალავრიატის დებულება.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში კვლევის შედეგები (http://kutmuscollege.edu.ge/uploads/iuridiuli/212.pdf)
- სსიპ–ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში მობილობით ჩარიცხვის წესი (http://kutmuscollege.edu.ge/uploads/pdf/koleji/mobilobit-charicxvis-wesi.pdf)
- სსიპ–ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში მობილობის წესით გადმოსულ ან აღდგენილ სტუდენტთა და საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის უმაღლესი აკადემიური (საბაკალავრო) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარების პროცედურა და წესი (http://kutmuscollege.edu.ge/uploads/pdf/koleji/kreditebis-agiarebis-wesi.pdf).
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში 2019–2020 სასწავლო წლისთვის აკადემიურ (საბაკალავრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა მიღებისა და ჩარიცხვის წესი.
- სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის/ მოდულის საბოლოო შეფასების ქულის გამოყვანისა და კონვერტაციის წესი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტთა საჩივრების (აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ) მიღება-განხილვის პროცედურები.
- რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ჩატარების და შედეგებზე რეაგირების მექანიზმი.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ვერ დგინდება ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში მოქმედებს თუ არა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და/ან სხვა საკონსულტაციო მომსახურება.

ქსკ არ გააჩნია კარიერული განვითარების ცენტრი/ოფისი. ამასთან, ვერ დგინდება ითავსებს თუ არა კარიერული მხარდაჭერის სერვისის ფუნქციებს კოლეჯის რომელიმე ერთეული.

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავს და განახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. მათ შორის: ერთობლივი ღონისძიებები ზ.ფალიაშვილის სახლმუზეუმთან (1 აქტივობა) და სხვადასხვა უნივერსიტეტებთან (7 აქტივობა), კონფერენციები (3 აქტივობა), ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობა (8 აქტივობა), ექსკურსიები (3 აქტივობა).

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სახელმწიფო სტიპენდიით. სტიპენდიის დაფინანსება ხდება კოლეჯის ბიუჯეტიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ასიგნებებიდან. სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობა აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს, რომლებიც შემოქმედებითად აქტიურნი არიან და ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს. თუმცა, ეს ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი ვებ გვერდზე.

რაც შეეხება სწავლის გადასახადს, სტუდენტის ხელშეკრულებაში მოცემულია ინფორმაცია სწავლის საფასურის გადახდის ვადების შესახებ, რომელიც იყოფა ორ ნაწილად. ამასთან, იმავე პუნქტი განმარტავს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სწავლის გადასახადის გადახდა განსხვავებული გრაფიკითაც შესაძლოა დადგინდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაცია კოლეჯის სტუდენტური შემოქმედებითი ინიციატივების/პროექტების ჩატარების შესახებ;
- დებულება სსიპ–ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტებისთვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის შესახებ;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ კოლეჯმა დანერგოს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები;
- რეკომენდებულია, რომ კოლეჯმა სტუდენტები უზრუნველყოს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებით;
- რეკომენდებულია, კოლეჯმა გაასაჯაროვოს ინფორმაცია სტიპენდიებისა და სხვა ფინანსური დახმარებების შესაძლებლობის შესახებ.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი მიზნად ისახავს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. ამისთვის იგი თანამშრომლობს ადგილობრივსა და რეგიონულ სამუსიკო სასწავლებლებთან სტუდენტებისთვის შემოქმედებით/საშემსრულებლო და პედაგოგიური პრაქტიკის / სტაჟირების უზრუნველსაყოფად. კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სისტემატურად მონაწილეობენ საქალაქო და რეგიონულ ღონისძიებებში. თუმცა უცნობია, რამდენად უწყობს ხელს ქსკ სწავლების, საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობისა და ეკონომიკის ინტეგრაციას, რამდენად თანამშრომლობს იგი ამ მიზნით ეკონომიკურ აგენტებთან და რამდენად ზრუნავს ინოვაციურ განვითარებაზე.

ქსკ ახორციელებს შემოქმედებით საქმიანობას (ატარებს კონცერტებს, ღია გაკვეთილებს, მასტერკლასებს), რითაც თავისი წვლილი შეაქვს რეგიონის კულტურულ განვითარებაში. აღნიშნული საქმიანობა თანხვედრაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ გეგმასთან, რომელთა მიხედვითაც ქსკ სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციაა, რომელიც სისტემატურად ახორციელებს სახელოვნებო-შემოქმედებით აქტივობებს. ამასთან, ქსკ-ის შემოქმედებითი აქტივობები მისი სასწავლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

ქსკ-ში არ არის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის პროგრამები, მაგრამ (რამდენადაც ეს აკადემიური პერსონალის დატვირთვებიდან ირკვევა) პროფესორ-მასწავლებლების დარტვირთვის დიდი ნაწილი მოიცავს ინდივიდუალურ მუშაობას ცალკეულ სტუდენტთან. თუმცა მონიტორინგის პირობებში რთულია განისაზღვროს, რამდენად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის დატვირთვა სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების ეფექტიანსა და ხარისხიან ხელმძღვანელობასა და ინდივიდუალურად ან გუნდურად განხორციელებული პროექტების მაღალ ხარისხს. მართალია, შემაჯამებელი საანგარიშო კონცერტები საჯაროა და მათ სავარაუდოდ ესწრება კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლების უმრავლესობა, მაგრამ შემაჯამებელი კონცერტის შეფასება არ რეგულირდება რაიმე წესით. არ მოიპოვება სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, როგორია საანგარიშო კონცერტების წარმატებით ჩატარების მაჩვენებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს მისია და განვითარების ტრატეგია;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- კოლეჯის ანგარიშები და ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელშიც ასახულია უსდ-ის აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი აქტივობა (http://kutmuscollege.edu.ge/axali-ambebi/);
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის ნიმუშები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ქსკ-მა იზრუნოს სწავლების, საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობისა და ეკონომიკის ინტეგრაციაზე, და ამ მიზნით ითანამშრომლოს ეკონომიკურ აგენტებთან და ხელი შეუწყოს ინოვაციურ განვითარებას;
- რეკომენდებულია მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული პროფესორის ფუნქციები სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში და ასევე შემაჯამებელი კონცერტისთვის მზადების პროცესში; ასევე განისაზღვროს, რამდენი სტუდენტის ხელმძღვანელობა შეუძლია თითო პროფესორს;
- რეკომენდებულია ქსკ-მა იზრუნოს იმაზე, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვით უზრუნველყოფილი იყოს სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების ეფექტიანი და ხარისხიანი ხელმძღვანელობა და ინდივიდუალურად ან გუნდურად განხორციელებული პროექტების მაღალი ხარისხი (ე.ი. სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობა უნდა აისახოს აკადემიური პერსონალის დატვირთვაში);
- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს საანგარიშო კონცერტების შეფასების წესი და განახორციელოს საანგარიშო კონცერტების წარმატებით ჩატარების მაჩვენებელთა ანალიზი.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი ხელს უწყობს მუსიკალური ხელოვნების განვითარებას სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების შემოქმედებით-პრაქტიკული მოღვაწეობით. მაგრამ ქსკ-ს არ გააჩნია შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი და პროცედურები.

ქსკ-ს არ გააჩნია სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული (საგარეო ურთიერთობების ან განვითარების სამსახური), რომელიც ხელს შეუწყობდა აკადემიურ პერსონალს, სხვადასხვა წყაროდან მოეპოვებინა დაფინანსება შემოქმედებით/საშემსრულებლო პროექტების განსახორციელებლად და შესაბამისი (სამუსიკო) ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. ამრიგად, ქსკ-ში ამჟამად არ მოქმედებს საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები (ეს არც სტრატეგიული განვითარების გეგმითაა გათვალისწინებული) და დაწესებულება არ ზრუნავს შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით თავისი მომსახურების შედეგიანობის ამაღლებაზე.

ქსკ-ის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული კოლეჯში მიმდინარე სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში, მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის კონცერტებში. ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა ასევე ნახსენებია ქსკ-ის მისიის განაცხადში, თუმცა ახალგაზრდა კადრების სახელოვნებო საქმიანობაში მოზიდვისა და მხარდაჭერის რაიმე ეფექტიანი სისტემის არსებობა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ დასტურდება. ასევე უცნობია, რამდენად უჭერს მხარს ქსკ სტუდენტების სახელოვნებო-შემოქმედებით ინიციატივებს.

მართალია, ქსკ-ის მისიის განაცხადში ნახსენებია სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა, ასევე, ცნობილია კოლეჯის ანგარიშებიდან, რომ კოლეჯის სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო მუსიკალურ ღონისძიებებში, მაგრამ ამას არ აქვს სისტემური თანამშრომლობის ხასიათი. წარმოდგენილი არ არის არც ინფორმაცია ერთობლივი შემოქმედებითი

აქტივობების შესახებ უცხოელ პარტნიორებთან და არც უცხოელი პარტნიორების მოპოვების სამოქმედო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე საშემსრულებლო ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა; • უსდ-ის შემოსავლები და ხარჯები; • კოლეჯის ანგარიშები და ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელშიც ასახულია უსდ-ის აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი აქტივობა (http://kutmuscollege.edu.ge/axali-ambebi/); • უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების მექანიზმი და საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები, რაც უნდა აისახოს მის ბიუჯეტსა და სტრატეგიულ გეგმაში; • რეკომენდებულია ქსკ-მა წაახალისოს და ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის მიერ სხვადასხვა წყაროდან შემოქმედებით / საშემსრულებლო საქმიანობისთვის და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად დაფინანსების მოპოვებას და ამ მიზნით გაუწიოს მას კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებასთან, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით; • რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშავოს და აამოქმედოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მხარდაჭერის სისტემა და მხარი დაუჭიროს სტუდენტთა სახელოვნებო-შემოქმედებით ინიციატივებს; • ქსკ-მა უნდა იზრუნოს ინსტიტუციური თანამშრომლობის დამყარებაზე უცხოელ პარტნიორებსა და საერთაშორისო შემოქმედებით ცენტრებთან, ერთობლივი სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაზე, ასევე უცხოელი პროფესორების მონაწილეობაზე კოლეჯის სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობაში.
რჩევები: • სასურველია, ქსკ-ში არსებობდეს ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ხელს შეუწყობს გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებას და დაეხმარება აკადემიურ პერსონალს ანგარიშების წარდგენის პროცესში.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში არ ხორციელდება შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და შედეგიანობის შეფასება და ანალიზი. სავარაუდოდ, არ არსებობს არც პერსონალის შემოქმედებით/საშემსრულებლო პროდუქტიულობის შეფასების რაიმე მწყობრი სისტემა. ამრიგად, არ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება კოლეჯის შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უსდ-ის ვებ-გვერდი (http://kutmuscollege.edu.ge/xarisxi.html) • წარმოდგენილი დოკუმენტაცია

რეკომენდაციები: • რეკომენდებულია ქსკ-მა განახორციელოს თავისი აკადემიური პერსონალის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და ანალიზი; • რეკომენდებულია რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები განხორციელებული შემოქმედებითი პროექტების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგები გამოყენებული იქნას კოლეჯის შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.
რჩევები:
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ მიწის ფართი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა არის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და ის სარგებლობაში გადაცემულია ქუთაისი სამუსიკო კოლეჯისთვის. შენობაში არსებობს აუდიტორიები თეორიული სწავლებისთვის, ორი საკონცერტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სანიტარული კვანძები. ამჟამად კოლეჯის ბალანსზეა ერთი როიალი, ორი პიანინო, არფა და კონტრაბასი; ასევე რვა პერსონალური კომპიუტერი. მუსიკალური საკრავები შესყიდულია 1990-იან წლებში, ხოლო კომპიუტერებს უმრავლესობა 2005 წელს. ბოლო ათი წლის განმავლობაში არ განხორციელებულა ძირითადი აქტივების შესყიდვა/განახლება გარდა კონდიციონერის და ველოტრენაჟორისა. საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ ამორტიზებული ძირითადი აქტივების რაოდენობა მაღალია, მათ შორის მუსიკალური საკრავები, რაც ლოგიკურად მიუთითებს მათი განახლების საჭიროებაზე. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის თანახმად, დაგეგმილია შენობა ნაგებობის ცალკეული სივრცეების რეკონსტრუქცია, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. დაწესებულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი მეტ-ნაკლებად შეესაბამება კოლეჯის შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ კოლეჯში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები და ევაკუაციის გეგმა დატანილია შენობაში კედლებზე, შესამჩნევ ადგილას. კოლეჯში მოქმედი შიდა განაწესის მიხედვით დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლები ვალდებულნი არიან 24 საათი აკონტროლონ კოლეჯი და მისი მიმდებარე პერიმეტრი. კოლეჯში არსებობს სამედიცინო ოთახი და ექთნის პოზიცია გათვალისწინებულია შტატით, სადაც დასაქმებულია სამედიცინო განათლების მქონე პირი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგების თანახმად გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია უსაფრთხოების დაცვის ნორმებით. გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ჰიეგენური წერტილებისა და პირველადი სამედიცინო პუნქტის მუშაობით ნაწილობრივ კმაყოფილია, ასევე მიუთითებს რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული შშმ პირებისთვის. კოლეჯის ვებგვერდზე მოთავსებულ ე.წ. „ბროშურაში " მოცემულია ორი ფოტოსურათი - გარედან შესასვლელი კიბეები და შიდა კიბეები, რომლებზეც გაკეთებულია პანდუსები. მაგრამ, დოკუმენტაციის მონიტორინგის პირობებში რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად ადაპტირებულია სასწავლო თუ დამხმარე სივრცეები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2020
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ძირითადი საშუალებების ნუსხა 2018 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით
- საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი #2
- უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების შესყიდვის დამადასტურებელი ხელშეკრულება
- სტუდენტთა გამოკიტხივს შედეგები
- კოლეჯის ვებ-გვერდი (http://kutmuscollege.edu.ge)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ქსკ-მა შეიმუშაოს და განახორციელოს სამოქმედო გეგმა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა შენობაში თავისუფლად გადაადგილებისთვის.

რჩევები:

- რეკომენდებულია სანიტარულ კვანძებში მუდმივად უზრუნველყოფილ იქნას სისუფთავის ნორმების დაცვა;
- სასურველია დაიგეგმოს და ეტაპობრივად განხორციელდეს მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლება/შესყიდვა.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკა აერთიანებს სამკითხველო დარბაზს, კომპიუტერებით აღჭურვილ სამუშაო სივრცეს და წიგნთსაცავს. ბიბლიოთეკაში არსებობს ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები, ასევე უსადენო ინტერნეტი ხელმისაწვდომია ყველასთვის. წიგნად ფონდში წარმოდგენილია ნაბეჭდი სახის რესურსები - წიგნები და ნოტები, ასევე, აუდიო ფირები და ჩანაწერები, რომლის განახლებაც ხდება ყოველწლიურად. თუმცა 2018 წელს საბიბლიოთეკო ფონდის განახლების დოკუმენტიდან შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად პროფილური ლიტერატურის მიღება მოხდა, რადგან წარმოდგენილ დოკუმენტებში საუბარია, მხოლოდ რაოდენობაზე. ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი ნაბეჭდი წიგნებისა და სანოტო ლიტერატურის გაცემის სტატისტიკიდან ირკვევა, რომ გაცემული რესურსების რაოდენობა ბოლო სამ წელში მზარდია, რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა კი 26. ბილიოთეკის სარგებლობის წესები თანხვედრაშია ადგილობრივ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო ნორმებთან, თუმცა საბუთების მონიტორინგის შემთხვევაში რთულია იმის დადგენა ბიბლიოთეკის მართვის სისტემა (წიგნების განლაგების პრინციპი, ფონდების განახლების მექანიზმები) არის თუ არა თანხვედრაში თანამედროვე მოთხოვნებთან.

სტუდენტთა გამოკითხვიდან ირკვევა, რომ ისინი კმაყოფილი არიან ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მომსახურების ხარისხით, თუმცა აღნიშნავენ რომ სახელმძღვანელოები და სანოტო ლიტერატურა ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარების მექანიზმების დოკუმენტი, სადაც საუბარია ბიბლიოთეკის პრიორიტეტებზე შემდგომი განვითარების მიზნით. იდენტიფიცირებულია განვითარების სამიზნე ნიშნულები, თუმცა არ არის აღწერილი რა მექანიზმებითა და პროცედურებით მიიღწევა აღნიშნული.

ბიბლიოთეკა მომხმარებელს ემსახურება კვირაში 6 დღე, 52 საათი. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად ირკვევა, რომ კოლეჯმა ელექტრონული კატალოგის შექმნის მიზნით გააფორმა ხელშეკრულება 2017 წელს და ამ დრომდე მიმდინარეობს კატალოგის ფორმირება. ამ ეტაპზე, წიგნის მოძიება შესაძლებელია ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე განთავსებულ ექსელის ფაილში.

ბიბლიოთეკა ვერ უზრუნველყოფს წვდომას ვერც ერთ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზასთან, შესაბამისად ვერ ხორციელდება სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკის წარმოება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2020
- კოლეჯის ვებ-გვერდი (http://kutmuscollege.edu.ge)
- ბილიოთეკის ძირითადი საშუალებები (აქტივები)
- ბიბლიოთეკის სტატისტიკა
- ბიბლიოთეკის გამოკითხვა
- ბიბლიოთეკის რესურსების განვითარების გეგმა
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ელექტრონული კატალოგის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა (შესაძლებელია უფასო ვერსიების გამოყენება);
- რეკომენდებულია სამენციერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა (მათ შორის ღია წვდომის ბაზები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე);
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათების გაზრდა და სტანდართან შესაბამისოაში მოყვანა.
- რეკომენდებულია საბიბლიოთეკო ფონდებისა და სერვისების განახლების მიექანიზმების ჩამოყალიბება/გაწერა
- რეკომენდებულია საბიბლიოთეკო ფონდის განახლება დარგში არსებული აქტუალური რესურსებით (ყოველწლიური გეგმის არსებობა)
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა/ ხელშეწყობა.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- ○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მოიცავს შესაბამის ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას რომლის ადმინისტრირება ხორციელდება

საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის მიერ. კოლეჯის ინფორმაციული პოლიტიკის მართვის წესი, არ ითვალისწინებს რისკების ადეკვატურ და ეფექტიან მართვას და არ ხდება საინფორმაციო სისტემების ეფექტიანობის შეფასება. კომპიუტერული ტექნიკა მათ შორის კომპიუტერები, პროექტორი, ქსეროქსის აპარატი, თანაბრად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.

კოლეჯს გააჩნია ვებ-გვერდი, რომლის ადმინისტრებაც ხორციელდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის მიერ, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. მასზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის, სტრუქტურის, არსებული პროგრამების შესახებ.

ამ ეტაპზე კოლეჯში არ მოქმედებს არც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და არც დოკუმენტელექტრონუვის ელექტრონული სისტემა. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი ღია დაშვებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის წესი;
- დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება;
- ხელშეკრულება ვებ-ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ;
- ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულება;
- კოლეჯის ვებ-გვერდი (http://kutmuscollege.edu.ge)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კოლეჯის ინფორმაციული პოლიტიკის წესში მოხდეს შესაძლო რისკების მართვის გათვალისწინება;
- რეკომენდებულია დაინერგოს/ამოქმედდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობას.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ბოლო ხუთი წლის მანძილზე უცვლელია. შემოსავლების ძირითადი ნაწილი გამოიყენება სახელფასო ხარჯის დასაფარად. კოლეჯის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში უნდა მოხდეს იმ აქტივობების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებას; სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას; ბიბლიოთეკის რესურსების განახლება/გამდიდრებას, ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფას.

კოლეჯის ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის წესის მიხედვით საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტი ეფუძნება აკადემიური საბჭოს, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ფართო ჩართულობით შემუშავებულ პრიორიტეტების ნუსხას. ბიუჯეტის

ფორმირებისას ადმინისტრაციის უფროსი, ფინანსური სამსახურის უფროსთან ერთად თანამშრომლობს ფაკულტეტებთან. ბიუჯეტის ფორმირებისას ის წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად. ბიუჯეტის შესრულებაზე და მის კონტროლზე პასუხისმგებელია საფინანსო სამსახური. კოლეჯში მოქმედი ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემა რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მეტ-ნაკლებად მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება კოლეჯში ფინანსური აუდიტის ჩატარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2020 ● დაფინანსების დინამიკის დოკუმენტი ● ფინანსური მართვისა და კონტროლის დოკუმენტი ● შემოსავალი-ხარჯების დოკუმენტი 2017 ● შემოსავალი-ხარჯების დოკუმენტი 2018
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია კოლეჯის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მოხდეს იმ აქტივობების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებას, სახელოვნებო შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას, ბიბლიოთეკის რესურსების განახლება/გამდიდრებას; ● რეკომენდებულია განსაზღვრული პერიოდულობის ფარგლებში ფინანსური აუდიტის ჩატარება
რჩევები: ● სასურველია კოლეჯმა იზრუნოს შემოსავლების ალტერნატიული საშუალებების მოძიებაზე, მათ შორის საერთაშორისო საგრანტო პროექტები.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	**პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)**	**ECTS**	**პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)**	**შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი**
1	**საშემსრულებლო ხელოვნება** – (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა)	ქართული	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი	**240**	ავტორიზებული	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N1, 2014.03.01
2						
3						